



ეს მასალები მომზადდა, მუნიციპალური განვითარების ფონდის პროექტის ფარგლებში, როგორც „რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების მეორე პროექტის“ (SRMIDP) შემადგენელი ნაწილი.

„რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების მეორე პროექტი“-განხორციელდა შვეიცარიის განვითარების სააგენტოს და მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით.

სივრცითი დაგეგმვის, აქტივების მართვის და კაპიტალური საინვესტიციო საკითხებზე ტექნიკური მხარდაჭერა განახორციელა ნიდერლანდურმა კომპანიამ „Ecorys b.v.“, ქართულ კომპანიებთან ერთად „PMCG“ და „გეოგრაფიკი“, კონსორციუმის ფარგლებში.

საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტში ჩატარდა ტრენინგები მცირე ჯგუფებში (კლასტერებში) 2017 წლის მარტიდან 2019 წლის ივნისამდე პერიოდში.



## კაპიტალური ინვესტიციების დაგეგმვის ჩატარებული ტრენინგების ჩამონათვალი

### (სწავლება 1-11)

კაპიტალური ინვესტიციების დაგეგმვის სასწავლო გეგმა მოცემულია ქვემოთ.

შესაბამისი ტრენინგის ფაილი განსხვავებული ფორმატით არის წარმოდგენილი.

წინასიტყვაობა

მოდულარული ტრენინგი: ზოგადი მიმოხილვა და ტრენინგების სასწავლო გეგმა

### 1. ინსტრუმენტები კაპიტალური ინვესტიციების დაგეგმვისთვის

2. ინსტრუმენტები კაპიტალური ინვესტიციების დაგეგმვისთვის -გაგრძელება

3. კაპიტალური ინვესტიციების დაგეგმვის პროცედურა

4. პროექტის კონცეფციის ბარათი – პრაქტიკული სავარჯიშო

5. პროექტის კონცეფციის ბარათი – პრაქტიკული სავარჯიშო -გაგრძელება

6. პროექტის კონცეფციის ბარათების შეფასება – პრაქტიკული სავარჯიშო

7. საპროექტო წინადადებები

8. საპროექტო წინადადების შეფასება. ვარიანტების ანალიზი. როგორ შევადაროთ პროექტის განხორციელების გზები.

9. საპროექტო წინადადების შეფასება. ვარიანტების ანალიზი. როგორ შევადაროთ პროექტის განხორციელების სხვადასხვა გზები. საპროექტო წინადადებების შეფასება. დისკონტირება და პროექტის შესრულების ინდიკატორები.

10. საპროექტო წინადადებების შეფასება. ხარჯი-სარგებლის ანალიზი

11. კაპიტალური ინვესტიციების დაგეგმვის პროექტების შერჩევა

\* პრეზენტაციების მასალების გარდა, ხელმისაწვდომია კაპიტალური ინვესტიციების დაგეგმვის სახელმძღვანელო





# კაპიტალური ინვესტიციების დაგეგმვა

*ინსტრუმენტები კაპიტალური ინვესტიციების დაგეგმვისთვის (1)*



რაფალ შპორკო

ექსპერტი კაპიტალური ინვესტიციების დაგეგმვის  
მიმართულებით



# კაპიტალური ინვესტიციების დაგეგმვის (CIP) პრეზენტაციის შეჯამება




საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობების  
ინსტიტუციური შესაძლებლობების გაძლიერება  
სივრცითი დაგეგმვის, აქტივების მართვისა და კაპიტალური  
საინვესტიციო გეგმების შემუშავების კუთხით






## საჯარო ინვესტიციის მართვის (PIM) პროცესი - 6 ძირითადი მახასიათებელი






# CIP პროცედურა - მონახაზი





## ძირითადი ნაბიჯები კაპიტალური ინვესტიციების დაგეგმვის პროცესში





# პრეზენტაცია სახელმძღვანელოს შესახებ



საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობების ინსტიტუციური შესადლებლობების გაძლიერება სივრცითი დაგეგმვის, აქტივების მართვისა და კაპიტალური საინვესტიციო გეგმების შემუშავების კუთხით





# სახელმძღვანელო კაპიტალური ინვესტიციების დაგეგმვა



რაფალ შპორკო

რატი გაბრიჩიძე



## სახელმძღვანელოს შინაარსი

- სახელმძღვანელოს საგნობრივი სფერო და შინაარსი
- განმარტებები / ლექსიკონი
- CIP პროცესის მონახაზი
- რეკომენდაციები კადრებთან დაკავშირებით
- პროექტის სკრინინგი და წინასწარი შერჩევა
- პროექტის შეფასება
- პროექტის შერჩევა და ბიუჯეტირება
- კაპიტალურ საინვესტიციო გეგმის განახლება
- დანართი 1: პროექტის კონცეფციის ბარათის ნიმუში
- დანართი 2: საპროექტო წინადადების ნიმუში
- დანართი 3: საპროექტო წინადადების შეფასების ბარათი (მაგალითი)
- დანართი 4: კაპიტალური საინვესტიციო გეგმის ნიმუში
- დანართი 5: ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის შინაარსი და მეთოდოლოგიური მიდგომა
- დანართი 6: კაპიტალური ინვესტიციის დაგეგმვის პროცედურა (მაგალითი)
- დანართი 7: პროექტების რანჟირება (მაგალითი)



# ნაბიჯი 1. ინფორმაციის თავმოყრა საჭიროებების შესახებ პროექტის იდენტიფიცირება




# ინფორმაციის მოძიება/თავმოყრა საჭიროებების შესახებ

## ინფორმაციის წყაროები საინვესტიციო საჭიროებებისა და საპროექტო იდეების შესახებ

საზოგადოების უშუალო საჭიროებების გათვალისწინებით ინფორმაციის მოძიება საინვესტიციო საჭიროებებზე და პრობლემატიკაზე და ასევე გადაუდებელ/საგანგებო მდგომარეობებზე უწყვეტი პროცესი გახლავთ.

Policy and strategic documents





## პოლიტიკისა და სტრატეგიის ამსახველი დოკუმენტები, სივრცითი და ურბანული გეგმები

- სტრატეგიული და სივრცითი გეგმების განხორციელება/დანერგვა მოითხოვს კაპიტალური ინვესტიციებს
- ერთ-ერთი ძირითადი ინფორმაციის წყარო საინვესტიციო საჭიროებების / საპროექტო იდეების შესახებ
- სტრატეგია განაპირობებს სივრცით დაგეგმვის შედეგებს და პირიქით





# ველო-ბილიკების მოწყობა სამი ქალაქის აგლომერაციაში 2007-2013

- გდანსკი ველო-ბილიკების მშენებლობის კუთხით წამყვანია პოლონეთის ქალაქებს შორის.
- ველოსიპედები გადაადგილების ალტერნატიული საშუალებაა.

## ინვესტიციები

- 37** ველო-ბილიკი ჯამში 42.08 კმ სიგრძით
- 14** პარკინგი "Bike & Ride,, მ.შ. ინტეგრაცია სატრანსპორტო კვანძებთან და სისტემასთან
- 10** მანქანის პარკინგი



## დამატებითი პროექტები:

- თანამედროვე ტრანსპორტის პროექტები (მაგ: ელ. ავტობუსები, ინტერნეტ ან „სმარტ ფოუნის“ აპლიკაციები გადაადგილების სხვადასხვა საშუალების ინტეგრაციისთვის)
- ველოსიპედი მაისში
- ველოსიპედით სამსახურში
- აქტიური მობილობის კონგრესი





## ლეტნიკას „გამოცოცხლება“ გდანსკში

- მთლიანი უბნების კომპლექსური რევიტალიზაცია სტრატეგიული პროგრამის ფარგლებში:

„ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება გდანსკში“



პროექტამდე



პროექტის შემდეგ

### ინვესტიციები

- 29 საცხოვრებელი შენობის კაპიტალური შეკეთება
- ნახევრად საჯარო სივრცეების განახლება/მოწყობა
- ბიბლიოთეკების, ღია სამკითხველო დარბაზებისა და სკოლების ტერიტორიების რეკონსტრუქცია და მოდერნიზაცია.
- ყოფილი სკოლის შენობის გადრეკმნა სხვა სოციალური დანიშნულების მქონე ობიექტად
- ქუჩების მონაკვეთებისა და მიწისქვეშა ინფრასტრუქტურის რეკონსტრუქცია ან მშენებლობა

### დამატებითი პროექტები:

- სოციალური ღონისძიებები (მაგ: ანიმაცია, კონსულტაციები სამართლებრივ, ფინანსურ და ფსიქოლოგიურ საკიტებზე, ოჯახების დახმარება)
- კულტურული და შემოქმედებითი ღონისძიებები
- ცეკვის სემინარი
- გადამზადების კურსები



## მუნიციპალური აქტივების მდგომარეობა



ქმედებები საინვესტიციო  
საჭიროებების დადგენამდე და მას  
შემდეგ:

- მუნიციპალიტეტის პასუხისმგებლობაში შემავალი  
კაპიტალური აქტივები:
  - შენობები
  - გზები
  - პარკები
  - წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემები
  - ნაგავსაყრელები
  - ტრანსპორტი (მანქანები)
- აქტივებში ჩადებული ინვესტიცია დაკავშირებულია  
ქონების სასიცოცხლო ციკლთან:
  - აქტივების შეძენა - მიწა საჯარო  
შენობის/ინფრასტრუქტურის და ა.შ. ასაშენებლად;
  - ახალი ობიექტების მშენებლობა;
  - არსებული აქტივების შეკეთება და მოდერნიზაცია მათი  
სასიცოცხლო ციკლის პერიოდში;
  - აქტივების ან მათი შემადგენელი კომპონენტების  
ჩანაცვლება საექსპლუატაციო ვადის გასვლის შემდეგ.

1. აქტივების ინვენტარიზაცია  
(აქტივების მდგომარეობა,  
დარჩენილი საექსპლუატაციო  
ვადა და ა.შ.);
2. კაპიტალური ინვესტიციის  
საჭიროების გამოვლენა აქტივის  
საექსპლუატაციო ვადის  
განმავლობაში (სარემონტო  
სამუშაოები, კაპიტალური  
ინვესტიციები, აქტივების  
ჩანაცვლება);
3. საინვესტიციო საჭიროებების  
პრიორიტეტებად დაყოფა
4. საინვესტიციო ხარჯების  
შეფასება.



## აქტივებთან დაკავშირებული შესაძლო საინვესტიციო გადაწყვეტილებები აქტივების მართვის გეგმის მიხედვით


- არსებული აქტივების მოდერნიზება მიმდინარე საექსპლუატაციო დანახარჯების შემცირების მიზნით (მაგ. შენობის თერმო მოდერნიზაცია)
- გასაქირავებლად არსებული აქტივების მოდერნიზაცია (მაგ. მიმზიდველი შენობა ქალაქის ცენტრში)
- საცხოვრებელ სივრცეში უგულებელყოფილი ადგილების დროებითი განვითარება (მაგ. მწვანე ტერიტორია, სპორტული მოედანი, სკვერი, პარკი და ა.შ.)
- გზის ქსელის სამომავლო განვითარებისათვის გათვალისწინებული ფართობის დროებითი განვითარება (მაგ. გზების სივრცითი გეგმისათვის განკუთვნილი მიწის ცარიელი ნაკვეთები)
- ახალი სოციალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა, არსებულის ჩანაცვლების მიზნით, რომელიც უფრო ეფექტურად იქნება გამოყენებული (მაგ. საბავშვო ბაღები, სკოლები, ბიბლიოთეკა, სოციალური დაცვის ცენტრები)
- განუვითარებელი ფართობზე კომუნიკაციების ინფრასტრუქტურის შექმნა, გასაყიდად გამიზნული ქონების ღირებულების გასაზრდელად (მაგ. განვითარებად ტერიტორიაზე არსებული ნაკვეთები, რომლებიც ადგილობრივ სივრცით გეგმაში შემონახულია კომერციული ინვესტიციისთვის)
- იმ აქტივების ჩანაცვლება, რომლსაც აქვს შენახვის შედარებით მაღალი ხარჯები (აქტივების გაყიდვის სავარაუდო სარგებელი უნდა იყოს საკმარისი იმისათვის, რომ ამგვარი ჩანაცვლების ხარჯები დაიფაროს, როგორც წესი, ეს ხდება როდესაც ქონება განლაგებულია მიმზიდველ ადგილას და განვიხილავთ მის დანგრევას, ახალი - კომერციულად უკეთესი შენობის აშენების მიზნით)



## დაინტერესებული მხარეების მიერ გამოხატული შეხედულებები უშუალო საზოგადოებრივ საჭიროებებზე

- შესაბამისი დაინტერესებული მხარეების, მ.შ. ადგილობრივი თემის/საზოგადოების, მონაწილეობა ახალი საინვესტიციო იდეების გამოვლენის პროცესში მიჩნეულია საპროექტო კონცეფციების დადგენის ლეგიტიმურ გზად, იმის გათვალისწინებით, რომ საბოლოო შედეგებამდე მისასვლელად გამოყენებული იქნება კონსულტაციის სტრუქტურირებული მიდგომა

საჯარო ზეგავლენის ეტაპობრივი მატება



- მიზნებიდან გამომდინარე არსებული საჯარო მონაწილეობის ტექნიკათა კატეგორიები :

მიზანი

### 1. აზრთა გაცვლა ე.წ. „Brainstorming“

- ინფორმაციის თავმოყრა
- საზოგადოებასთან დიალიგი
- შესაძლებლობების გამოვლენა
- რეკომენდაციების მიცემა

შედეგები და გადაჭრის შემოთავაზებული გზები ყოველთვის არ წარმოადგენს საბოლოო არჩევანს

### 2. „გადაწყვეტილების მიღება“

- საბოლოო გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობა

მიზანი

გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობას ძლიერი ზეგავლენა აქვს შედეგებზე



## 1. აზრთა გაცვლა ე.წ. „Brainstorming”

- ## 2. „გადაწყვეტილებების მიღება“

- სემინარების სცენარების განსახილველად - ერთიანი ხედვის ჩამოყალიბება (მაგ: ქალაქის განვითარების კუთხით) განსახორციელებელი ქმედებების გეგმასთან ერთად; ექსპერტების, მუშაკების, სახელისუფლებო პირების, მეწარმეების მონაწილეობა (1-2 დღე);
- ქალაქის შეკრება 21-ე საკუნეში - შესაძლებლობათა ფართე სპექტრი, მაგ: სოციალური ან საინვესტიციო პროგრამის შედგენა; როგორც წესი ეხება უფრო რთულ საკითხებს, რომელთა გადაჭრის გზები შეზღუდულია; მოდერატორებისა, მოქალაქეთა წარმომადგენლების, ასევე ექსპერტების (მაგ: არქიტექტორების, ურბანისტების, იურისტების, ბიზნეს ანალიტიკოსების და სხვ.) ჩართულობა (1-რამოდენიმე თვე);
- თანამონაწილეობითი ბიუჯეტირება - გადაწყვეტილების მიღების პროცესი, რომლის ფარგლებშიც მოქალაქეებს შეუძლიათ აზრის გამოხატვა და მოლაპარაკებების წარმოება საჯარო რესურსების გადანაწილებასთან დაკავშირებით; საინვესტიციო წინადადებების წარდგენა მოქალაქეების მიერ და მათთვის პრიორიტეტულობის მიხედვით (მაგ: ადგილობრივი ინიციატივები), მუნიციპალიტეტებმა უნდა გამოყონ სახსრები ამ პროექტებისთვის, რაც ბიუჯეტის ოფიციალური ნაწილი იქნება.



## ინფორმაცია საინვესტიციო საჭიროებების შესახებ

შესავსები ფორმა საპროექტო იდეის შესახებ

|                                                              |  |
|--------------------------------------------------------------|--|
| დისახელება                                                   |  |
| გადაჭრილი პროექტის აღწერა                                    |  |
| პროექტის ადგილმდებარეობა                                     |  |
| მუნიციპალიტეტის რაიონი                                       |  |
| საპროექტო იდეის ინფორმაციის წყარო იდეის წარმოშობის საფუძველი |  |

პროექტის სახელი

გადაჭრის მუნიციპალიტეტის სახელი

- შედარებით მოწინავე მუნიციპალიტეტების შემთხვევაში, თავმოყრილი ინფორმაცია შეიძლება იყოს უფრო ფართე და დამატებით მოიცვას:
- განსახორციელებელი საინვესტიციო იდეის მასშტაბის აღწერა;
- ინფორმაცია მესაკუთრის შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- მაცხოვრებელთა რაოდენობა, რომელიც მიიღებს სარგებელს პროექტის განხორციელებით;
- ხარჯების შეფასება;
- დაფინანსების შესაძლო წყაროების ჩამონათვალი;
- განხორციელების მოსალოდნელი დრო.



## სავარჯიშო – განხილვები სამუშაო ჯგუფებში



### ■ საჭიროებებისა და საპროექტო იდეების დადგენა:

- ინფორმაციის შესაძლო წყაროების გათვალისწინებით განიხილეთ შესაძლო საინვესტიციო საჭიროებები თქვენს მუნიციპალიტეტში - სულ მცირე 3 იდეა
- ეცადეთ დაადგინოთ აღნიშნულ საჭიროებებთან დაკავშირებული რეალური პრობლემები და იდეები.

### ■ აღწერეთ საინვესტიციო საჭიროებები მათ შორის მიუთითეთ:

- საპროექტო იდეის დასახელება
- გადასაჭრელი პრობლემის აღწერა
- პრობლემის ადგილმდებარეობა
- ბენეფიციართა რაოდენობა
- ინფორმაციის წყარო საპროექტო იდეის შესახებ - საპროექტო იდეის საფუძველი.

შეგიძლიათ ფორმას საპროექტო იდეის შესახებ

|                                                     |  |
|-----------------------------------------------------|--|
| დასახელება                                          |  |
| გადასაჭრელი პრობლემის აღწერა                        |  |
| პრობლემის ადგილმდებარეობა                           |  |
| ბენეფიციართა რაოდენობა                              |  |
| საპროექტო იდეის ინფორმაციის წყარო - იდეის საფუძველი |  |

საპროექტო იდეის საფუძველი

საპროექტო იდეის საფუძველი

### ■ განიხილეთ თქვენს მუნიციპალიტეტში საჯარო ჩართულობის გზები პროექტების იდენტიფიკაციის პროცესში.



## ნაბიჯი 2. საწყისი შეფასება





## დაშვების კრიტერიუმები

რომელი საინვესტიციო საჭიროება უნდა შევიტანოთ სიაში?

1. იდეა შედის ადგილობრივი თვითმმართველობის პასუხისმგებლობაში;
2. იდეა საიმედოა და პასუხობს საჯარო მოთხოვნას (ანუ იდეას აქვს სოციალური მხარდაჭერა);
3. არ არსებობს გადაფარვა სხვადასხვა განმცხადებლის მიერ მოწოდებულ იდეებს შორის (ხანდახან იდეის საწყისი სახელწოდება და მასშტაბი უნდა შეიცვალოს/გადალაგდეს);
4. იდეა განხორციელებადია ტექნიკური და ტექნოლოგიური თვალსაზრისით.



## პრაქტიკული რჩევები

1. შეადგინეთ ყველა შემოტანილი საჭიროების/საპროექტო იდეის სია და შეინახეთ არქივში;
2. უპასუხეთ საჭიროების/საპროექტო იდეის შემომტან ყველა განმცხადებელს. ეცადეთ დაასაბუთოთ თქვენი გადაწყვეტილება (თუ უარყოფითია) და აუხსნათ თუ როგორ შეიძლება იდეის გაუმჯობესება/დახვეწა მომავალში.
3. შეფასება ჩაატარეთ გამჭვირვალედ და გამოიყენეთ საკონტროლო ჩამონათვალი (ე.წ. checklist).

**ზემოაღწერილი პროცესის საბოლოო შედეგი უნდა იყოს გამოვლენილი საინვესტიციო საჭიროებების (ან საპროექტო იდეების) ჩამონათვალი.**



### ნაბიჯი 3. საპროექტო კონცეფციების შემუშავება



## პროექტის განმარტება

- **პროექტი** - კაპიტალური პროექტი არის ქმედებათა ერთობლიობა განსაზღვრული ამოცანებითა და შედეგებით, რომელიც ხორციელდება დროის ფიქსირებულ მონაკვეთში გეგმა-გრაფიკის მიხედვით და გარკვეული ორგანიზაციული სტრუქტურის მიერ. ის უნდა მოიცავდეს ყველა ქმედებას და იძლეოდეს შედეგს, რომელიც საჭიროა სამიზნე ბენეფიციარებისთვის „მდგრადი“ სარგებლის მოსატანად.



## პროექტის კონცეფციასთან დაკავშირებული წყაროები

- მსგავსი საინვესტიციო პროექტები, რომელიც უკვე განხორციელებულია
- ანალიზი ინდუსტრიასთან მიმართებით („ბენჩმარკინგი“)
- სხვადასხვა ბიზნეს სექტორისთვის გამოქვეყნებული სპეციალური ინდიკატორები
- საბიუჯეტო სამსახურის ან ეკონომიკური სუბიექტის მიერ შეგროვებული მონაცემები (მაგ. დემოგრაფიული და ფისკალური მონაცემები)
- მაკროეკონომიკური მონაცემები
- ბაზრის მოკვლევა
- საკუთარი კვლევა



## პროექტის კონცეფციის ბარათის (PCN) დონეები

- დონე 1 – საბაზისო (მინიმალური ინფორმაცია, რომელიც პროექტისთვის არის საჭირო)
- დონე 2 – მოწინავე (განმარტებული და დაზუსტებული მონაცემები პროექტის კონცეფციის ბარათში მოცემულ გარკვეულ საკითხებზე)
- დონე 3 – დამატებითი (დამატებითი ანალიზი და პროექტის შესახებ მოწოდებული მონაცემები)



# პროექტის კონცეფციის ბარათი (1/6)

## ადმინისტრაციული ინფორმაცია

| შესატანი ინფორმაცია                                                                                                                      | დონე 1<br>პროექტის კონცეფცია                | დონე 2<br>პროექტის კონცეფცია                | დონე 3<br>პროექტის კონცეფცია                |
|------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|---------------------------------------------|---------------------------------------------|---------------------------------------------|
| <b>A. ადმინისტრაციული ინფორმაცია</b>                                                                                                     |                                             |                                             |                                             |
| 1. პროექტის დასახელება                                                                                                                   |                                             |                                             |                                             |
| 2. პროექტის წარმდგენი ეკონომიკური ერთეული                                                                                                |                                             |                                             |                                             |
| 3. პროექტზე პასუხისმგებელი უფროსი თანამდებობის პირი ეკონომიკურ ერთეულში                                                                  |                                             |                                             |                                             |
| 4. პროექტსა და მის განხორციელებაზე პასუხისმგებელი დაქვემდებარებული პირი/ერთეული (თუ განსხვავდება პასუხისმგებელი ეკონომიკური ერთეულისგან) |                                             |                                             |                                             |
| 5. პასუხისმგებელი თანამდებობის პირი დაქვემდებარებულ უწყებაში (ასეთის არსებობის შემთხვევაში)                                              |                                             |                                             |                                             |
| 6. ახალია პროექტი თუ მიმდინარე                                                                                                           | გთხოვთ მიუთითოთ პროექტი ახალია თუ მიმდინარე | გთხოვთ მიუთითოთ პროექტი ახალია თუ მიმდინარე | გთხოვთ მიუთითოთ პროექტი ახალია თუ მიმდინარე |



## პროექტის კონცეფციის ბარათი (2/6)

### პროექტის დასაბუთება/რაციონალურობა და საჭიროების შეფასება

| B. პროექტის დასაბუთება/რაციონალურობა და საჭიროების შეფასება                                                |                                                                                                                                                                                                                                                                           |                                                                                                                                                                                                                                      |                                                                                                                                                                                                                                      |
|------------------------------------------------------------------------------------------------------------|---------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|--------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|--------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| 7. აღწერეთ კონკრეტული პრობლემა, რომლის გადაჭრისკენაც მიმართულია პროექტი და ამ პრობლემის სიმწვავე/სიმძიმე.  | <p>სად არის პრობლემის ადგილმდებარეობა (უბანი, ქუჩა, ტერიტორია, შენობა და ა.შ.)?</p> <p>უშუალოდ ვის აწუხებს აღნიშნული პრობლემა (ადამიანთა ჯგუფი, მოქალაქეები და ა.შ.)?</p> <p>რამდენი ხანია არსებობს აღნიშნული პრობლემა?</p> <p>აღწერეთ პრობლემით გამოწვეული შედეგები?</p> | <p>მიუთითეთ რა განაპირობებს პრობლემის სიმძიმეს/აქტუალურობას (მომსახურებაზე მაღალი მოთხოვნა - მეტი მომხმარებელი დაბალი მწარმოებლურობის ფონზე, მოთხოვნა ახალი ტიპის მომსახურებაზე, ინფრასტრუქტურის ტექნიკური მდგომარეობა და ა.შ.)?</p> | <p>მიუთითეთ რა განაპირობებს პრობლემის სიმძიმეს/აქტუალურობას (მომსახურებაზე მაღალი მოთხოვნა - მეტი მომხმარებელი დაბალი მწარმოებლურობის ფონზე, მოთხოვნა ახალი ტიპის მომსახურებაზე, ინფრასტრუქტურის ტექნიკური მდგომარეობა და ა.შ.)?</p> |
| 8. ახსენით თუ როგორ შეამსუბუქებს პროექტი აღნიშნულ პრობლემას.                                               | <p>რას ვთავაზობთ პრობლემის მოსაგვარებლად?</p> <p>რატომ ვთავაზობთ აღწერილ გზას/გამოსავალს (როგორ შეძლებს თქვენს მიერ შემოთავაზებული მიდგომა გამოვლენილი პრობლემის შემცირებას)?</p>                                                                                         | <p><u>წინა დონეზე მოცემულ ინფორმაციაზე დამატებით:</u></p> <p>ინფორმაცია შესაძლო ალტერნატიული გზების შესახებ, რომლებსაც შეუძლიათ პრობლემის გადაჭრა.</p> <p>რეკომენდებული ალტერნატივა, რომელიც საჭიროებს უფრო დეტალურ ანალიზს.</p>     | <p><u>იგივე ინფორმაცია რაც მოცემული იყო წინა დონეზე:</u></p> <p>ინფორმაცია შესაძლო ალტერნატიული გზების შესახებ, რომლებსაც შეუძლიათ პრობლემის გადაჭრა.</p> <p>რეკომენდებული ალტერნატივა, რომელიც საჭიროებს უფრო დეტალურ ანალიზს.</p>  |
| 9. მიუთითეთ კონკრეტული სამიზნე ჯგუფი, რომელიც მიიღებს სარგებელს აღნიშნული პროექტის განხორციელების შედეგად. | <p>ვინ იქნება პროექტის უშუალო ბენეფიციარი (მაცხოვრებელთა რომელი ჯგუფი)?</p>                                                                                                                                                                                               | <p>დამატებითი ინფორმაცია სხვა ბენეფიციარებზე (მაგ: მაცხოვრებელთა რაოდენობა), მ.შ. არაპირდაპირ ბენეფიციარებზე.</p>                                                                                                                    | <p>დამატებითი ინფორმაცია სხვა ბენეფიციარებზე (მაგ: მცხოვრებელთა რაოდენობა), მ.შ. არაპირდაპირ ბენეფიციარებზე.</p>                                                                                                                     |



# პროექტის კონცეფციის ბარათი (3/6)

## პროექტის დასაბუთება/რაციონალურობა და საჭიროების შეფასება

|                                                                                                                                                                        |                                                                                                                                                                      |                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                              |                                                                                                                                                                                                                                                                                |
|------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|--------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|--------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| 10. მიუთითეთ დაახლოებით რამდენი საბოლოო მომხმარებელი ეყოლება პროექტის შედეგად შექმნილ მომსახურებას. დააკონკრეტეთ საზომი ერთეული (მაგ: ადამიანები, ოჯახები, ბიზნესები). |                                                                                                                                                                      |                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                              | დაიანგარიშეთ ინფრასტრუქტურის მომხმარებელთა შესაძლო / პროგნოზირებული რაოდენობა (დაყავით არსებულ და ახალ მომხმარებლებად) ან მიწოდებული სერვისის ოდენობა                                                                                                                          |
| 11. პროექტის უკუგდების შედეგები.                                                                                                                                       | რა „დაგვიჯდება“ პროექტის უკუგდება (მაგალითად, ძველი მოწყობილობის/შენობის სარემონტო სამუშაოების ხარჯი)?<br><br>ეს ინფორმაცია შეიძლება შეიტანოთ <b>აღწერის სახით</b> . | რა „დაგვიჯდება“ პროექტის უკუგდება (მაგალითად, ძველი მოწყობილობის/შენობის სარემონტო სამუშაოების ხარჯი)?<br><br>ეს ინფორმაცია შეიძლება შეიტანოთ <b>აღწერის სახით</b>                                                                                                                                                                                           | რა „დაგვიჯდება“ პროექტის უკუგდება (მაგალითად, ძველი მოწყობილობის/შენობის სარემონტო სამუშაოების ხარჯი)?<br><br>ეს ინფორმაცია შეიძლება შეიტანოთ <b>რიცხობრივად</b>                                                                                                               |
| 12. სამუშაოების მასშტაბი.                                                                                                                                              | აღწერეთ პროექტის სამუშაოების პროგნოზირებული მასშტაბი (ანუ დაგეგმილი ღონისძიებები).                                                                                   | აღწერეთ პროექტის სამუშაოების პროგნოზირებული მასშტაბი და თუ საჭიროა დამატებით შემდეგ: <ol style="list-style-type: none"> <li>პროექტის მომზადება (კონცეპტუალური დიზაინი, სამშენებლო დიზაინი, დამატებითი ანალიზი და კვლევები);</li> <li>მიწის შესყიდვა (საჭიროებიდან გამომდინარე);</li> <li>სამშენებლო სამუშაოები;</li> <li>მოწყობილობების შესყიდვა.</li> </ol> | <u>წინაზე ღონისძიების მოცემული ინფორმაცია და დამატებით:</u><br><br>დააკონკრეტეთ შემოთავაზებული ობიექტების მიახლოებითი ფიზიკური მწარმოებლურობა/სიმძლავრე და მიუთითეთ საზომი ერთეული, მაგ: კუბური მეტრი წყალი/დღეში, მანქანები/დღეში, მომხმარებელი/დღეში, მ² გამოყენებული ფართი. |
| 13. კავშირი სხვა ინვესტიციებთან.                                                                                                                                       | მიუთითეთ კავშირი სხვა დაგეგმილ ინვესტიციებთან.                                                                                                                       | მიუთითეთ კავშირი სხვა დაგეგმილ ინვესტიციებთან.                                                                                                                                                                                                                                                                                                               | <u>წინაზე ღონისძიების მოცემული ინფორმაცია და დამატებით:</u><br><br>მიუთითეთ სხვა ინვესტიციები, რომელთა განხორციელებაც აუცილებელია პროექტის ამოცანების მისაღწევად.                                                                                                              |



## პროექტის კონცეფციის ბარათი (4/6)

### პროექტის განხორციელებით მიღებული სარგებელი და შესაბამისობა სტრატეგიასთან

| C. პროექტის განხორციელებით მიღებული სარგებელი                                                                                                                                                                                                                                                                                                                                |                                                                                                                                |                                                                                                                                                   |                                                                                                                                                |
|------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|--------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|---------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
